



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა N 109

ქ. გარდაბანი

31/10/2022

109-06-4-202210311805



გარდაბნის მუნიციპალიტეტის ადრეული და სკოლამდელი განათლების 2022-2023 წლების სტრატეგიის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მეორე ნაწილის „ი“ პუნქტის, „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „ვ“ ქვეპუნქტებისა და გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის 22 სექტემბრის N18-1822265131 წერილის შესაბამისად, გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

მუხლი 1

დამტკიცდეს გარდაბნის მუნიციპალიტეტის ადრეული და სკოლამდელი განათლების 2022-2023 წლების სტრატეგია დანართი N1-ის შესაბამისად.

მუხლი 2

დაევალოს გარდაბნის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირს „სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებას“ სტრატეგიის შესრულება.

მუხლი 3

განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

მუხლი 4

განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს რუსთავის საქალაქო სასამართლოში (რუსთავი, ბოსტანქალაქის ქ. N6) საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის მესამე ნაწილით დადგენილი წესით.

მიხეილ გედეხაური

საკრებულოს თავმჯდომარე